KA030108313581818

№ 01-14121 **22 / ივნისი / 2018 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ დავით სერგეენკოს

ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსის, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებლის
მარიანა მკურნალის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 26 ივნისიდან 5 ივლისის ჩათვლით იტალიაში ქ. ტურინში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეირ დაგეგმილია ორ ფაზიანი კურსის მეორე ნაწილი თემაზე: „ Advanced ILO Participatory Gender Audit Facilitators with Certification".

დღის წესრიგი ითვალისწინებს გენდერული აუდიტის ეტაპების, გენდერული აუდიტის მეთოდოლოგიისა და გენდერული თანასწორობის ძირითადი მიმართულებების განხილვას, სადაც ჩატარდება ჯგუფური სამუშაოები.

შეხვედრაში მონაწილეობის მიზნით, მიწვეულია საქართველოს შრომის, ჯანრმთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ელზა ჯგერენაია.

ვიზიტში მონაწილეობის ხარჯები (სასტუმრო, მგზავრობა და დღიური ნორმა) ანაზღაურდება მიმწვევი მხარის მიერ.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში უზრუნველვყოფთ შესაბამისი მივლინების ბრძანების გაფორმებას ქალბატონი ელზა ჯგერენაიასთვის მიმდინარე წლის 25 ივნისიდან 6 ივლისის ჩათვლით.

პატივისცემით,

ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი

მარიანა მკურნალი